ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №159042

ნომერი: AR138616

თარიღი : 10.04.2012

გაცემის თარიღი : 10.05.2012

გაცნობის თარიღი : 11.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კლიმენტი ქავთარაძე პ/ნ 01030017880
- თბილისი მ.ბუხაიძის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ხელმეორედ იქნა განხილული თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ არის გათვალისწინებული სამსახურის მიერ №150353 გადაწყვეტილებით მოწერილი რეკომენდაციები. საჭიროა გაითვალისწინოთ:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურული თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, სასურველია გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილ იქნას ახალი ალტერნატიული ვარიანტ(ებ)ის ფოტომონტაჟები.

ასევე გაითვალისწინეთ:
1. ვინაიდან საპროექტო დავალებით ფანჯრის ღიობების მოწყობის და ფასადის შეღებვის გარდა ასევე ხორციელდება საჩრდილობლის მოწყობა, შენობის წინ ტერიტორიის შემოღობვა და საყვავილეების განთავსება (აღნიშნული ირკვევა ფოტომონტაჟიდან და მოთხოვნის ტექსტიდან), ამისათვის (იმ შემთხვევაში, თუ განახლებული ფოტომონტაჟის წარმოდგენის შემდეგ აღნიშნული სამუშაოების განხორციელება კვლავ იქნება დაგეგმილი მხოლოდ შეცვლილი სახით) საჭიროა ახალი განაცხადის შევსებისას ნომენკლატურაში არჩეულ იქნას შემდეგი ნომენკლატურები, კერძოდ: "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი", "საჩრდილობლის მოწყობა", "დეკორატიული გაფორმების ობიექტები", "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება" (ქმედებები - რეკონსტრუქცია).
2. საჭიროა მოთხოვნის ტექსტში სრულად აისახოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.
3.საჭიროა "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს და "ფოტომონტაჟი"-ს ველში ატვირთულ იქნას მეტად შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა (რომელზეც ასახული იქნება შენობის მთლიანი სარეკონსტრუქციო ფასადი) და მის საფუძველზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომების და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით), რომელიც დამუშავებული იქნება ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.